



HEMPADUR LTC 15030

15030: BASE 15039: CURING AGENT 97030

აღწერილობა: **HEMPADUR LTC 15030** – ორკომპონენტური, ეპოქსიდური ქვანახშირის საღებავი. ქმნის მედეგ ფენას მარილიანი წყლის, ნავთობისა და სხვა ნივთიერებების მიმართ. ალიფატიური გამხსნელების გამოყენება იწვევს გაუფერულებას.

რეკომენდაცია

გამოყენებისათვის: უზრუნველყოფს ფოლადისა და ბეტონის ხანგრძლივადიან დაცვას აგრესიულ კოროზიულ გარემოში. გამოიყენება ისეთ ზედაპირებზე, რომლებსაც კონტაქტი აქვთ წყალთან, გამოიყენება ნავთობციტერნებისა და წყლის რეზერვუარების შიდა ნაწილის შესაღებად, ისეთ გარემო პირობებში, სადაც ტემპერატურა 10°C-ზე ნაკლებია.

მიწოდება: ჩართულია საერთო ასორტიმენტში. მიწოდება ხორციელდება წინასწარი შეკვეთით.

ფიზიკური მახასიათებლები:

ფერის ნომერი/ფერი:	19990*/ შავი
შესახედაობა:	ნახევრად პრიალა
მშრალი ნაშთი. %:	61 ± 1
თეორიული ხარჯი:	4.9 მ ² /ლ [196.5 sq.ft./US gallon] - 125 მკმ/5მილ
კრიტიკული წერტილი:	25 °C [77 °F]
ხვედრითი წონა:	1.3 კგ/ლ [10.6 ფუნტი/US გალონი]
გამაგრება:	60 საათი, -10°C; 24 საათი, 0°C; 12 საათი, 10°C
აქროლად ნივთიერებათა რაოდენობა:	361 გ/ლ [3 ფუნტი/US გალონი]

**ფერთა ფართო არჩევანი ხელმისაწვდომია.*

დაფარვა:

პროდუქტის ნომერი: 15030

შერევის პროპორციები:	BASE 15039: CURING AGENT 97030 3:1 მოცულობით
დაფარვის მეთოდი:	უჰაერო/ჰაერით გაფანტვა/ფუნჯი
გამხსნელი:	08450 (5%)/ 08450 (10%) /08450 (5%)
საფარის სისქე, მშრალი:	125 მკმ [5 მილ]
საფარის სისქე, სველი:	200 მკმ [8 მილ]

უსაფრთხოების მეთოდები: აუცილებელია ეტიკეტსა და შეფუთვაზე მითითებული უსაფრთხოების წესების დაცვა.

ზედაპირის შესაღებად

მომზადება: აუცილებელია ფოლადი გაწმენდილ იქნას ყველანაირი ზეთის, ცხიმისა და მარილისგან შესაბამისი მასალით.

დაფარვის პირობები:

აუცილებელი პირობაა ზედაპირის სიმშრალე, სისუფთავე და დახურულ სივრცეებში ვენტილაციის უზრუნველყოფა ღებვისა და გაშრობის პროცესებში. ტემპერატურა ღებვისას უნდა იყოს -10°C-ზე მეტი. საღებავის ტემპერატურა უნდა იყოს არანაკლებ 10°C. უფრო დაბალი ტემპერატურის შემთხვევაში საჭიროა გაზავება, რის შედეგადაც საფარის სისქე მცირდება და შრობის დრო იზრდება.

